პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შაბათი, 7 მარტი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 51 (739) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

შაბათს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე, ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში, ოთახი № 1, მოწვეულია ალმასკომის პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. სასოფლო—სამეურნეო გადასახადის შესახებ.
2. წყალსადენის საფასურის აკრეფის გამორკვევის საკითხი.
3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## ავამაღლოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარი.

...თავის მოხსენებაში მთავრობის მოღვაწეობის შესახებ. ამხ. ...იკოვმა ნათლად გაატარა ის ...ზრი, რომ საგარეო პოლიტი...აში საბჭოთა ხელისუფლება ...ისწრაფვის დაამყაროს კე...ილ მეზობლური ნორმალური ...ერთიერთობა სხვა ქვეყნებთა...ო. „ჩვენი საერთაშორი...ო პოლიტიკის პრინციპები“, ...თქვა მან, დამყარებულია ეკო...ომიურ თანამშრომლობაზე და ...ვის უზრუნველყოფაზე“. მა...რამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ...ბჭოთა კავშირს არ უნდა ...ვდეს შეიარაღებული ძალა ...თელი არმიის სახით.

ამხ. რიკოვი ხაზს უსვამს ...მ გარემოებას რომ ჩვენი მშ...დობიანი აღმშენებლობითი ...უშაობისათვის აუცილებელია ...ითელი არმიის არსებობა. წი...ელი არმია წარმოადგენს სწო...ედ იმ მტკიცე გარანტიას, ...ომელიც უზრუნველყოფს სა...ბჭოთა კავშირის მშრომელთა ...მოქმედებით შრომას.

...ამიტომაც სესიამ თავის რეზოლიუციაში კიდევ ერთხელ ...ღნიშნა აუცილებლობა წითე...ი არმიის საბრძოლო უნარის ...ა საერთოდ მისი სიძლიერის ...ევის შესახებ.

...აი რას ამბობს რეზოლიუ...ია: „საბჭოთა კავშირის ცაკი ...ცნობს რა იმას, რომ ზავის ...ურღვევლობა წარმოადგენს ...რთ ერთ აუცილებელ პი...ობას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის, იწონებს რა წითელი-არმიის რიცხვობრივ შემადგენლობის შემცირებისათვის მიღებულ ზომებს და აგრეთვე ყველა ნაბიჯებს მიმართულს შეიარაღების შემცირებისაკენ საერთაშორისო მაშტაბში, ამავე დროს ხედავს წითელი არმიის ძლიერების შენახვაში აუცილებელ საშუალებას ს ხელმწიფოს დასაცავად არსებულ პირობებში“. ეს მუხლი საუცხოვოდ ამტკიცებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების მშვიდობიანურ პოლიტიკას. ჩვენ გვსურს ზავი და მშვიდობიანობა. მაგრამ არასდროს არ გვავიწყდება იმპერიალიზმის მტაცებლური ბუნება, მისი შეიარაღების და სამხედრო ძალების გიგანტიური ზრდა. და თუ დღეს ის ჩვენ გვიცნობს და მშვიდობიან მოლაპარაკებას აწარმოებს, ეს იმიტომ რომ ჩვენ გვყავს ძლევამოსილი წითელი-არმია. ამიტომაც სესიამ სამართლიანად გაუსვა ხაზი იმ გარამოებას, რომ წითელი არმიის საბრძოლო უნარი უფრო გადიდებულ იქნას. ეს დადგენილება საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოს პირხათლად უნდა გაატაროს წითელ-არმიამ ცხოვრებაში და მით ხელი შეუწყოს საბჭოთა რესპუბლიკების წინსვლას სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

## დამსახურებული პანღური.

...ოთხი წელზე მეტია, რაც ...აქართველოს მუშებმა და გლე...ებმა აავრიალეს წითელი ...როშა და თავის საზღვრები...ან დაბერტყეს მენშევიკური ...თავრობა და დემოკრატიული ...ონტრ-რევოლიუციის მესვეუ...ები. მას აქეთ, საზღვარ გა...ეთ გახიზნული კონტრ-რევო...ლიუცია განუწყვეტლივ ებრ...ვის საბჭოთა საქართველოს.

...ვინ მოსთვლის იმ ხვეწნას, ...ოდებას და ხეტიალს სხვა და ...სხვა იმპერიალისტურ მთავრო...ებთან, რომლებიც გასწიეს ამ ...ბატონებმა.

ყველგან ისინი ითხოვენ დახმარებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, ყველგან ისინი გაყვირიან „საბჭოთა ხელისუფლების ძალმომრეობაზე“, „საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაზე“ და ვინ იცის კიდევ რამდენ საზიზღარ ცილისწამებას არ ისვრიან ბურჟუაზიის ერთგული მოციქულები მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ ოთხი წლის განმავლობაში მათ არა ერთხელ და ორხელ შეეცადნენ საქართველოს მშრომელთა ხალხის უფლებების შელახვას. მათი მეოხებით და ანტანტის ოქროებით იქმნა მოწყობილი გასულ აგვისტოს ბანდიტური გამოსვლა საქართველოში. საბჭოთა საქართველომ თავისი წითელი ჯარის საშუალებით შესძლო ამ ავანტიურის ძირშივე ჩაქრობა. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მენშევიკები დასამარდა საქართველოში და მას სამუდამოთ გამოეცალა ნიადაგი, მისი გაკოტრებული ბელადები როგორც სჩანს მაინც არ სტოვებენ უნაყოფო ბრძოლას საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ.

რადიომ მოგვიტანა ცნობა, სტამბოლიდან ოსმალეთის მთავრობამ გააძევა მენშევიკი გვარჯალაძე და ფედერალისტი სოსო მდივანი, რომლებიც აწარმოებდნენ კონტრ-რევოლიუციონურ ბანდების ორგანიზაციას.

საბრალო მენშევიკები! როგორც სჩანს ანტანტა აღარ სწყალობს მათ წინანდურათ. ამასთანავე არც საქართველოზე ჰქონიათ იმედი. და აი ისინი კრებენ შეიარაღებულ ძალას სტამბოლში სხვა და სხვა ჯურის ავანტიურისტებისაგან. ამ „ჯარით“ მათ სურდათ საქართველოს „განთავისუფლება“! მაგრამ დახე უბედურებას არ აცალეს! ოსმალეთის მთავრობამ მყისვე გააბრძანა ეს ვაჟბატონები თავის საზღვრებიდან.

როგორც სჩანს მენშევიკები ევროპაშიც ზედმეტი ბარგი შექნენ, რომ ასეთ „პატივს სცემენ“ მათ.

დღეს ოსმალეთმა კრა წიხლი, ხვალ სხვა უთავაზებს.

ბატონ ჟორდანიას და მის ამალას ის ღა დარჩენიათ, რომ იფიქრონ არა თავის ბატონობის დაბრუნებაზე, არამედ დედამიწის ზურგზე იპოვონ ისეთი კუნჭული, რომ თავისუფლად დალიონ უკანასკნელი დღეები.

მაგრამ ვფიქრობთ, რომ პროლეტარული რევოლიუცია არც ამის საშუალებას მისცემს მათ.

— ე.

# ახალი რადიო-ამბები.

## ოსმალეთის ახალი კაბინეტი.

ოსმალეთის ოფიციალური წრეების ცნობით ისმეტ-ფაშამ უკვე შეადგინა ახალი კაბინეტი.

კაბინეტის შემადგენლობა შემდეგია:

საგარეო საქმეთა კომისარი—ისმეტ-ფაშა, ეროვნულ თავდაცვის კომისარი—რეჯები (ყოფილი მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარი), განათლების კომისარი—განდულახსუდხი (სტამბოლის დეპუტატი, პარლამენტის საგარეო და განათლების კომისიების თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა კომისარი—ჯემალი (ფეხტი—ბეის კაბინეტშიაც ეს თანამდებობა ეჭირა), საზღვაო საქმეთა კომისარი—ახსანი (იგივე თანამდებობა ეჭირა ფეხტი—ბეის კაბინეტშიც), იუსტიციის კამისარი—ასად მახმუდი (ძველსავე თანამდებობაზე), ჯანმრთელობის კომისარი—რევიკი, საზოგადოებრივ მუშაობის კომისარი—სულეიმან დირი, ვაჭრობის კომისარი—ალი ჯემანი, ფინანსთა კომისარი—ხასანი, მიწადმოქმედების კომისარი (სარუხანის დეპუტატი), კომისრების უმეტესობა ძველსავე თანამდებობაზეა დატოვებული.

## რუმინეთი უარს ამბობს ვალების გადახდაზე.

რუმინეთმა უარი განაცხადა საფრანგეთის სამხედრო ვალების გადახდაზე და აღნიშნავს, რომ რუმინეთმა ველარ მოახერხა აელო გერმანიისაგან საოეპარაციო თანხა და რომ მოკავშირეებმა უარი განაცხადეს [illegible] ნაწილის წართმევის ანაზღაურებაზე.

## რადიჩის პარტია (გლეხთა პარტია) მარჯვნით გადაიხარა.

რადიჩის პარტიის (გლეხთა პარტია) მარჯვნით გადახრა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ პარტიაზე გავლენა მოახდინა ხორვატიის ბურჟუაზიულ ბელადების გაძლიერებამ. რადიჩის პარტიამ დაადგინა ამოშალოს თავისი სახელწოდებიდან სიტყვა „რესპუბლიკანური“.

ამბობენ, რომ რადიჩის პარტია ფორმალურად გაასხადებს თავის გამოსვლას გლეხთა ინტერნაციონალიდან, მაგრამ მაინც დარჩება მის მოყვარულ პარტიად.

## ბრიტანეთის ფლოტის ადმირალების კონფერენცია.

სინგაპურში გაიხსნა ბრიტანეთის ფლოტის ადმირალების კონფერენცია. კონფერენციამ უნდა განიხილოს საზღვაო ძალთა საკითხი შორეულ აღმოსავლეთში და სინგაპურის გადაქცევა ინგლისის ფლოტის ცენტრალურ ბაზად აღმოსავლეთში.

კონფერენციაზე მონაწილეობენ ავსტრალიის და ახალ ზელანდიის წარმომადგენლები.

## პირველი საბჭოთა გემი გრიმსბიში.

გრიმსბიში (ნავთასდგური ინგლისში) მივიდა თევზით დატვირთული საბჭოთა გემი მურმანსკის სანაპიროებიდან. ეს პირველი საბჭოთა გემია, რომელმაც მიიტანა იქ თევზი ომის შემდეგ.

## პოლონეთის მანუფაქტურის შესყიდვა.

ლოძში მივიდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი. ლოძის სავაჭრო წრეებში და პრესაში დიდ ყურადღებას აქცევენ მანუფაქტურის შესყიდვას.

## ესეც განიარაღება.

მინისტრი სიკორსკიმ მოითხოვა სეიმის კომისიისაგან არმიისთვის ხარჯთ—აღრიცხვის გადიდება 110 მილიონი მარკით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

## საბჭოთა საელჩოს შენობა ტოკიოში.

საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი პეკინში, კუზნეცოვი გაემგზავრა ტოკიოში საელჩოს შენობის მისაღებად.

## ამხ. პრეობრაჟენსკი პარიზში.

საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე—ამხ. პრეობრაჟენსკი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთთან ვალების საკითხებში, უკვე ჩავიდა პარიზში.

## ლორდ კერზონის ავადმყოფობა.

ლორდ კერზონი ავად გახდა მოულოდნელად. ავადმყოფობა ჯერ-ჯერობით საშიშროებას არ უქადის.

## კამათი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის გარშემო.

### ფიშერის გამოსვლა.

5 მარტს, ინგლისის თემთა პალატაში ირჩეოდა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის საკითხები უზრუნველყოფის საგარანტიო (თავდებობის) ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

კამათი გახსნა ლიბერალმა ფიშერმა, რომელმაც აღნიშნა კელნის ზონის ევაკუაციის გაგრძელების სერიოზულობა. ფიშერმა განაცხადა, რომ ლიბერალური პარტია წინააღმდეგია საგარანტიო ხელშეკრულებისა ინგლისს, საფრანგეთსა და ბელგიას შორის.

იისი აზრით მეტი შედეგი გამოვა გერმანიისადმი წინადადებიდან საფრანგეთის საზღვრების უზრუნველყოფის შესახებ.

# საკავშირო ცაკის მესამე სესია.

## კამათი საკავშირო მთავრობის მოხსენების გარშემო.

ამხ. რიკოვის მოხსენებისა და ამხ. ჩიჩერინის თანამოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

პირველად კამათში გამოვიდა ამხ. მახარაძე, რომელმაც ილაპარაკა ნაციონალური საკითხის მნიშვნელობის გარშემო.

ამხ. მახარაძის შემდეგ ილაპარაკეს მთელ რიგ ორატორებმა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მიღწევებზე სამეურნეო დარგში და სხვა.

შემდეგ სესიამ გამოიტანა საკავშირო მთავრობის მოხსენების გარშემო დადგენილება.

**რკპ-ს ფრაქციის სხდომა.**

5 მარტს დილით შესდგა რკპ-ს ფრაქციის სხდომა.

ფრაქციის სხდომის შემდეგ სწარმოებდა მუშაობა სექციაში სასოფლო სამეურნეო გადასახადების გარშემო.

## ხუთშაბათი 5 მარტი. IV სხდომა.

# ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება.

ამხანაგებო! უკანასკნელ დრომდე კავკასიის ქედს გადაღმა, რუსეთში, თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიის შესახებ. კავკასიის მ[illegible]ხოვრები იქ, უსათუოთ ნაბადში გახვეული, საშიშარი სახითა და გალესილი ხანჯლით შეიარაღებული ყავდათ წარმოდგენილი. მათ წარმოდგენაში კავკასიელი ისეთი არსება იყო, რომელსაც ყველას სისხლი სწყუროდა, ყველას ჰკლავდა, თუ ვინიცობაა, მოსაკლავს ვერავის იხელთებდა, მაშინ თვითონვე ილადრავდა ყელს.

მე არ ვიცი, არის თუ არა რუსეთში ეხლა ჩვენ შესახებ ასეთი შეხედულება, მაგრამ ცხადია, რომ საბჭოთა ყველა მოღვაწეს, არა აქვს ნათელი წარმოდგენა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც რამოდენიმე ათეული სხვა და სხვა ენაზე მოსაუბრე ხალხები სცხოვრობენ. მე ვფიქრობ, რომ აღმასრულებელი კომიტეტის სესია მოისმენს მოხსენებას არა მარტო იმის შესახებ, თუ როგორ ვმართავდით ჩვენ ქვეყანას ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში, არამედ მოისურვებს აღგილობრივი მდგომარეობასთან უფრო დაწვრილებით გაცნობას.

## ამიერ-კავკასია ყველას აინტერესებს.

ამიერ-კავკასია, ამხანაგებო, დიდათ აინტერესებს დღეს მთელ ქვეყანას. ის აზიასა და ევროპის შორის მდებარეობს. ის ხიდია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ჩვენს ქვეყანაზე გადის გზა აღმოსავლეთის მდიდარ ბაზრებისაკენ. გამრიელი ლუკმა—ბაქოს ნავთი. ამის გამო იპყრობს ის ასეთ დიდ ყურადღებასა და ინტერესს. ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო მნიშვნელობის მხარეთ გადაიქცა. სწორეთ აქედან შეუძლია იმპერიალიზმს ჩვენში შემოჭრა და აღმოსავლეთისა და საბჭოთა რესპუბ[illegible]ხა.

## როგორია ჩვენი ქვეყანა.

ნება მიბოძეთ ეხლა გადავიდე ჩვენი ქვეყნის დახასიათებაზე.

როგორც მოგეხსენებათ, ამიერკავკასის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციაში შედიან სამი უმთავრესი რესპუბლიკები: საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საზღვრებში შედიან: აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკები.

აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში შედიან: ნახიჩევანის და ყარაბახის ავტონომიური რესპუბლიკები.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ავტონომიური ერთეულები არ არის.

უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ თითქმის არც ერთი რესპუბლიკაში რომელიმე ძირითადი ეროვნება დიდ უმრავლესობას არ შეადგენს. ჩვენ რომ რესპუბლიკებში, რომელიმე ერის უდიდესი უმრავლესობა გვქონდეს მაშინ, შეიძლება არ ყოფილიყო ისეთი ეროვნული შუღლისა და მტრობის საფრთხე, რომელსაც ჩვენ მუდამ ვამჩნევდით ამ რესპუბლიკებში.

ავიღოთ, მაგალითისათვის, საქართველო. თვით დამქაავებული პატრიოტების გამოანგარიშებით, საქართველოში ყოველ ას კაცზე, მხოლოდ 68 არის ქართველი, დანარჩენები სხვა და სხვა ეროვნებებს ეკუთვნიან. საქართველოში, მაგალითად, საკმაოდ მრავალრიცხოვან ეროვნულ უმცირესობას შეადგენენ სომხები, გარდა ამისა აქ სცხოვრობენ ოსები, ებრაელები, გერმანელები, აფხაზები და სხვა.

არც აზერბეიჯანში შეადგენენ თურქები დიდ უმრავლესობას. იგივე ითქმის სომხეთის შესახებაც, თუმცა იქ ეროვნული სხვადასხვაობა საქართველოსთან შედარებით ნაკლებია.

ერთი სიტყვით ამიერ-კავკასია აჭრელებულია სხვა და სხვა ეროვნებებით.

## ჩვენი ეროვნული პოლიტიკა.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ჩვენი ეროვნული პოლიტიკა ძალიან ფრთხილი და წინდახედული უნდა იყოს. საკავშირო მთავრობის მოხსენების გარშემო გამართულ კა-



მათში ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ამიერ-კავკასია საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის „საცდელი მინდორი“ არის. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდით, რომ ეს მართ[illegible] კი ჩვენ აქ გვქონდა ცეცხლის მფრქვეველი მთა, რომელიც ყოველ წუთს მზათ იყო ამოეხეთქა.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ჩვენ კომუნისტებს, ძალიან დიდი შრომა დაგვჭირდა რომ ეს ცეცხლის მფრქვეველი მთა დაგვეწყნარებია.

ჩვენ ყოველთვის უდიდესი ყურადღებით ვეპყრობოდით ეროვნულ საკითხს ამ.-კავკასიაში. ამის შესახებ ჩვენ არა ერთხელ მიგვიღია ამხანაგ ლენინისაგან დარიგება ამ რთული საკითხის მოგვარების შესახებ. ჩვენ ვიცით რომ ამიერ-კავკასიაში ჩვენი კეთილდღეობის განმტკიცება მხოლოთ ერთა შორის ძმური თანამშრომლობის დამყარებით შეიძლება.

მე ვფიქრობ, რომ სწორეთ ამ საკითხის შესახებ უნდა იყოს უმთავრესად მეტი ნათქვამი ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენებაში.

ამხანაგმა რიკოვმა სრულიად სამართლიანათ მოგვთხოვა ჩვენ პასუხი და ახსნა-განმარტება ჩვენი ეროვნული პოლიტიკის შესახებ, მე შევეცდები საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის შეკითხვაზე გავსცე პასუხი.

მეორე და უმთავრესი საკითხია ის, თუ როგორ და რისთვის მოვიხმარეთ ჩვენ კავკასიის ერთა შორის დამყარებული მშვიდობიანობა.

ამხანაგი ლენინი 1921 წელს კავკასიის კომუნისტების სახელზე გამოგზავნილ წერილში ამბობდა:

„ამიერ-კავკასიაში ფრიად საყურადღებოა ეროვნული საკითხი, მაგრამ გაცილებით მეტად საყურადღებოა საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებაო“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი მეურნეობა.

## ჩვენი მეურნეობა.

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის მეურნეობა უმთავრესათ სასოფლო მეურნეობაა. აქ არ არის განვითარებული კაპიტალიზმი. ჩვენს პირობებში სახელმწიფო კაპიტალი და ეს გარემოება ძალიან გვშლის. მეფის მთავრობა ძალიან გაურბოდა განაპირა ქვეყნებში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში მრეწველობის განვითარებას.

ამის გამოა, რომ ჩვენში არც ერთი მსხვილი წარმოება, ბაქოს თუ არ ვიანგარიშებთ, არ მოიძებნება. დარწმუნებული უნდა იყოთ ბაქოს ნავთის გადატანა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ნიკოლოზ მეორის მთავრობა, იმასაც სადმე შიგნითა გუბერნიებში გადაიტანდა, მაგრამ ბუნებრივი პირობების შეკვლა არც მას შეეძლო.

ამიტომ, ის იძულებული იყო, რომ ბაქოს მრეწველებისათვის, ძალა უნებურათ, ხელი შეეწყო.

ჩვენ, საერთოთ, როგორც ვთქვით ძალიან ჩამორჩენილი ვართ წარმოების განვითარების მხრივ ჩვენი კავშირის სხვა ნაწილებთან შედარებით, მაგრამ უნდა განვაცხადოთ, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რომ ის, რაც ჩვენ ამიერკავკასიაში გასაბჭოების დროს დაგვხვდა, სავსებით შევინარჩუნეთ, კიდევ მეტი—ზოგიერთი წარმოება კიდეც განვავითარეთ.

ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა მნიშვნელობის წარმოებაა თავმოყრილი—მსოფლიო და ადგილობრივი ხასიათის.

## ნავთი და შავი ქვა.

ნავთი და შავი-ქვა—ეს ისეთი საქონელია რომელსაც სახელმწიფოთა შორის შეტაკების გამოწვევა შეუძლია. ჩვენს ხელში კი ეს წარმოება ქვეყნის აყვავების მძლავრი იარაღათ გადაიქცა.

ჩვენი ნავთის წარმოება დღითი დღე ვითარდება და წინ მიდის. თითქოს განზრახ, ყოველ საზეიმო შემთხვევისათვის ბაქო ნავთის ახალ-ახალ შადრევნებს ისვრის. ასე იყო, სხვათა შორის, 2 მარტს, სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენი სხდომები გაიხსნა.

ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარება იმ ზომამდე მივიდა, რომ აუცილებელი შეიქნა ბაქოსა და ბათომს შორის ნავთის საქაჩავი ახალი მილის გაყვანა. ბათომშივე შენდება მაზუთის გადასამუშავებელი დიდი ქარხანა.

მართალია, ბაქოს მრეწველობა ცოტაოდენ გაჭირვებას განიცდის ნაწარმოების გასაღების მხრივ. მაგრამ ამხ. სერებროვსკის ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ, ჩვენმა ნავთმა მსოფლიო ბაზრისაკენ გზა გაიკაფა.

მეორე წარმოება, რომელსაც აგრეთვე საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ეს არის ჭიათურის შავი-ქვა. ომამდე ჭიათურაში 70 მილიონი ფუთი შავი-ქვა ამოდიოდა. ომის დროს როგორც ვიცით, დარდანელის სრუტე დაიხურა და ამის გამო ქვის დამუშავება და გარეთ ბაზარზე გატანა შეწყდა.

მენშევიკების დროს მუშაობა ისევ განახლდა, მაგრამ მაშინ მხოლოდ ამოღებული ქვა გაჰქონდათ საზღვარ გარედ, ხოლო მაღაროებში მუშაობა კი არ სწარმოებდა.

ეხლა ჩვენ ვცდილობთ გავადიდოთ წარმოება, მაგრამ ამას დიდძალი თანხა სჭირდება. ასეთი თანხა ჩვენ არ მოგვეპოება. მსოფლიო ბაზარზე დიდი მუშტარი ჰყავს ჩვენ შავ-ქვას.

## ჩვენ მუქთად არავის არაფერს გავატანთ.

ჩვენ უკვე მივიღეთ აუარებელი წინადადებები შავი-ქვის იჯარით გაცემის შესახებ. რა თქმა უნდა, თუ წინადადებები ხელსაყრელი დარჩა, ჭიათურის შავ-ქვას ჩვენ იჯარით გავცემთ, იმ პირობით კი, რომ ჩვენი ინტერესები სავსებით დაცული იქნეს.

ჩვენ არავის არაფერს გავატანთ მუქთად, ხოლო თუ ხელსაყრელ პირობებში ვერ გავეცით, მაშინ ჩვენ თვითონ მოვკიდებთ ხელს შავი-ქვის დამუშავებას.

## ტყიბულის ქვა-ნახშირი.

გარდა ამისა, ჩვენში არის წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებებიც, მათ რიცხვს ეკუთვნის, სხვათა შორის. ტყიბულის ქვა-ნახშირიც. ეს ქვა ნახშირი მაინცადამაინც კარგი ღირსების არ არის. მისგან „კოკსი“-ს დამზადება შეუძლებელია. ამ ნახშირს უმთავრესად რკინის-გზის დასავლეთ ხაზებზე ხმარობენ. მოთხოვნილების კვალობაზე აქ მუშაობა სწარმოებს.

## სპილენძიც ბლომად გვაქვს.

ამიერ-კავკასია მდიდარია აგრეთვე სპილენძის მადნეულობით. ომამდის მრავალ ადგილას გაჩაღებული იყო მუშაობა, მაგრამ ომის დაწყებისას თითქმის ყველა ქარხნები დაიხურა. ამ ჟამად ზოგიერთი ეს ქარხნები კვლავ ამუშავდა და უკვე მივიღეთ ჩვენ საბჭოთა ქარხნებში გამომუშავებული სპილენძი.

## ჩვენი მარილი.

ჩვენ მარილი გვაქვს. მარილის წარმოება უმთავრესად ნახჩევანის რესპუბლიკაშია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მარილის წარმოება სრულებით გაჩერებული იყო ამ ჟამად მუშაობა გაჩაღებულია. ამიერ-კავკასიისათვის საჭირო მარილის ორ-მესამედს აქვე ვშოულობთ და ჩვენი თევზის წარმოებისათვის საჭირო მარილის ორი წილი აქვე გვეშოვება, მხოლოთ ერთი მესამედი კი რუსეთიდან მოგვაქვს.

## თუჯის წარმოება.

ჩვენ ხელი მოვკიდეთ აგრეთვე თუჯის წარმოებასაც. მაგრამ ამ საქმემ მაინცა და მაინც დიდი ნაყოფი ვერ გამოიღო და თუმცა ამ საქმისათვის ჯერ ხელი არ გვგვიშია, მაგრამ, შესაძლებელია, რომ ჩვენ წარმოებას თავი დავანებოთ და ურალის თუჯი მოვიხმაროთ.

## ტყავის წარმოება.

ტყავის წარმოება განვითარებულა, როგორც საქართველოში ისე სომხეთში და აზერბეიჯანში. შემთხვევა არის, რომ ჩვენ დასამუშავებლათ ვერ ვშოულობთ ნედლი მასალას და ეს გარემოება ცოტა არ იყოს აფერხებს ამ წარმოების განვითარებას.

## მეთევზეობა.

ომამდე ამიერ-კავკასიაში ძალიან განვითარებული იყო თევზის წარმოება. კასპიის ზღვაში უწინ აუარებელ თევზს იჭერდენ. ჩვენ მხოლოთ შარშან შევსძელით თევზის წარმოებისათვის გულდასმით ხელის მოკიდება. ჩვენი თევზის წარმოება, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება. ჩვენ რომ საკმაო თანხა გქონდეს, ამ საქმეს უფრო კარგად დავაყენებდით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).


**განცხადება.**

**ტფილისის სამაზრო-საქალაქო ყრილობა გაიხსნება 15 მარტს, დილის 10 საათზე.**

დღის წესრიგი და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

მაზრის დელეგატები უნდა გამოცხადდენ აღმასკომის სამდივნოში (ოთახი № 5) არა უგვიანეს 14 მარტისა სათან. მანდატ. მისაღებათ.

ტფილისის საბჭოს წევრებმა უნდა მიიღონ თავის დროზე სარაიონო საარჩევნო კომისიებში დროებითი მანდატები.

3—3 **პრეზიდიუმი**



## ჩვენი კოოპერაცია.

### კოოპერატივი გამოკეთდა.

პირველი ლეგიონის კოოპერატიული დუქნის შესახებ, ბევრჯერ იწერებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და უმთავრესად აღნიშნული იყო კოოპერატივის უარყოფითი მხარეები. მართალი უნდა ითქვას, პირველ ხანებში დუქანი ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებას. ის ვერ აკმაყოფილებდა ლეგიონის მოთხოვნილებას.

ამ ბოლო ხანებში კი კოოპერატივის მდგომარეობა ცოტა გამოკეთდა. გამგე ენერგიულად ამუშავდა. ამხანაგმა მოიტანა დუქანში ყველა ის უმთავრესი საგნები, რომლებიც ლეგიონის ყოველდღიურ საჭიროებას წარმოადგენენ. ამასთანავე დღემდის ყოველდღიურად უმჯობესდება დუქანი. მასში ბლომად მოიპოება: პური, საპონი, თამბაქო, ქაღალდი, კონვერტები, ფანქრები და სხვა.

იმედია მომავალში უფრო ენერგიულად იმუშავებს ამხ. კოოპერატივის გამგე და ხელს არ შეუწყობს ჩვენი ჩარჩ-ვაჭრების ხელში ჩაყრას.

სამხკორი გიგო.

## კულტურული მუშაობა სოფლათ.

ორ მარტს მე-6 ტერლეგიონის 9-რე ასეულის დრამწრის ძალებით ს. ტიპანში (სიღნაღის მაზრა.) დაიდგა წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური და ანტირელიგიოზური ხასიათის პიესები, შემდეგ გაიმართა დეკლამაცია. ხალხი ძლივს ეტეოდა დარბაზში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ წინად დედაკაცები და ახალგაზდა ქალები გაურბოდენ კრებებს და სხვა, დღეს იმდენათ შევიდა ამაში განვითარება, რომ ყოველ რომელიმე შეკრებაზედ ან წარმოდგენაზედ დედაკაცები უფრო მრავლად ესწრებიან ვიდრე წინად. ეს ჩვენი გამარჯვებაა.

საჭიროა მეტი ენერგიულობა გამოიჩინოს ამ მიმართულებით იმ ტერნაწილებმა, რომლებიც გადასროლილი არიან მაზრა და სხვა პროვინციებში.

ყველა წ. არმიელები და მეთაურები უნდა დაუხლოვდეს სოფლის გლეხებს.

მეტად აინტერესებს სოფლის მასას წარმოდგენების დადგმა და ამასთან დაკავშირებით საუბრის წარმოება. გლეხებში უფრო დიდი გავლენა აქვს წითელ არმიელებს.

ეს გარემოება ხედველობიდან არ უნდა იქნეს გამოშვებული. საჭიროა ყოველგვარ საქმეზე გაიგზავნონ გლეხებში წით. არმიელების წრიდან.

ჩვენ მიზნათ გვაქვს მომავალ ზაფხულის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი წარმოდგენები დავდგათ და საუბრები ვაწარმოოთ, რაც დარწმუნებული ვართ სასურველ ნაყოფს მოიღებს და გამოაცოცხლებს სოფელს კულტურულად.

დ. ჭინკვეტაძე.

## მეთაურთა სკოლის დრამ-წრე.

სკოლის დრამ-წრე და მასთან სხვა წრეებიც ენერგიულად ემზადებიან მარტში ჩასატარებელ კომპანიებისათვის...

პირველ რიგში—მეორე ასეულის ძალებით მზადდება: მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის საღამო.

ამ საღამოში სკოლის მუშა-მოსამსახურე ქალებიც იღებენ მონაწილეობას... პირველმა ასეულმა საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავი და წითელი არმიის 7 წლის თავი ბრწყინვალედ ჩაატარა!

ცხენოსანი გუნდის ძალებით მზადდება თებერვლის რევოლიუციის საღამო და სხვა.

წრის დისციპლინა განმტკიცებულია და მეცადინეობაც რეგულიარულად სწარმოებს, წრის მდივნები აწარმოებენ მუშაობის ანგარიშს და ადგენენ თვალსაჩინო პლაკატებს შესაფერი მასალებისაგან... წრეში მეცადინეობა სწარმოებს კითხვა-პასუხებით. თვითეულ საკითხს საკლუბო მუშაობის, პროლეტარულ ხელოვნების, ახალ თეატრის და სხვა საპოლიტ მიმოხილვა დარგიდან ამუშავებს რამდენიმე კურსანტი სხვა და სხვა განყოფილებებიდან!

ყოველი საუბრისათვის კითხვები წინასწარ მუშავდება და ხელმძღვანელი შესაფერ დახმარებას უწევს კურსანტებს ამა თუ იმ საკითხის გამუქებაში და მის პრაქტიკულად გამოყენებაში... თითეული განყოფილების ასეულის მდივანი ვალდებულია შეკრიბოს თავის ნაწილში საკითხები საკლუბო მუშაობის დარგიდან და ძირითად წრის მდივანთან ერთად მოამზადოს მორიგ საუბარზე დასასმელად და განსახილველად!...

ამ რიგად ხშირად—კურსანტთა პატარ-პატარა კითხვებიდან სდგება საინტერესო და საკმაოდ მოზრდილი საუბარი. ამიტომ მუდამ ინტერესი და აქტივობაა ამ წრეში!..

ასეთივე ხალისით ირჩევა წრეში ყოველი „საღამო“-დადგმები და ახლად შექმნილი ინსცენიროვკები.

წრის შემადგენლობის 90 პროცენტი პარტიული და კომკავშირელი ამხანაგებია და იმის და მიხედვით, რომ ხშირად ძალიან ცოტა დრო რჩება წრის მუშაობათა შესასრულებლად—ისინი მაინც ენერგიულად და ნაყოფიერად მუშაობენ!

ამიტომ უფშემადგენლობა პოლიტ-შემადგენლობა და ყოველი ამხანაგი ვალდებულია მათ ამ ფრიად მნიშვნელოვან მუშაობაში შესაფერი დახმარება გაუწიოს!..

ეს კიდევ უფრო გააძხნევებს დრამ-წრის წევრებს და მუშაობის ნაყოფიერებაც მეტი იქნება!

ეს კი—სკოლის ყველა ერთგულ მევოზართათვის საყურადღებო უნდა იყოს.

საგაზაფხულო მოკლე ვადიანი შვებულების დრო ახლოვდება და დრამ-წრე ალბად თავის ამოცანათა შორის დასვამს სასოფლოდ მომზადების საკითხსაც!

ეს მით უმეტეს—რომ წრე დიდ ყურადღებას აქცევს სოფლისა და ქალაქის კავშირს!

ილია და რაფო.

## ბორჩალოს სამაზრო საბჭოთა ყრილობა ტერიტორიალური სისტემის შესახებ.

28 თებერვალს მეექვსე ტერლეგიონის მეექვსე ასეულის წარმომადგენელმა ამხ. გრიგოლიამ ვრცელი მოხსენება გააკეთა ბორჩალოს მაზრის მუშა—გლეხთა და წითელ არმიელთა მეოთხე ყრილობაზე ტერიტორიალური სისტემის და მისი მნიშვნელობის შესახებ.

ამხ. დაწვრილებით შეეხო ტერიტორიალური ნაწილების ხასიათს და შეადარა მათი მდგომარეობა ძველი რეჟიმის დროის სამხედრო ნაწილების მდგომარეობას.

მომხსენებელმა ყრილობის წევრებს გააცნო აგრეთვე თუ როგორი წესით სწარმოებს წვევამდელების გაწვევა და სხვა.

ყრილობა დიდი ყურადღებით შეხვდა მოხსენებას და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ბორჩალოს მაზრის საბჭოთა დეპუტატ. მეოთხე ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. გრიგოლიას მოხსენება ტერიტორიალური სისტემის მიზანსა და მნიშვნელობის შესახებ, კერძოთ ბორჩალოს მაზრის მშრომელებისათვის ეს სისტემა მიაჩნია მეტად ხელსაყრელად და ესალმება მას. ტერნაწილების რიგებში გაწვეულ წ. არმიელებს უსურვებს წარმატებას სამხედრო მომზადების საქმეში, მშრომელთა ყველა ჯურის მტრების შესაძრწუნებლად.“

გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელიც მედგრად სდგას პროლეტარული რევოლიუციით მონაპოვართა სადარაჯოზე.

X.

## პასუხად ამხ. ივ. ბარელაძეს.

გაზ. „წითელ-არმიელი“-ს № 38 ში მოთავსებული იყო ამხ. ივ. ბარელაძის წერილი, პირველ ლეგიონში პურის ცუდათ გამოცხობის შესახებ.

ამხ. ბარელაძეს ვერ გაუგია რაშია საქმე. მართალია ამ უკანასკნელ ხანებში ცოტა ცუდი ხარისხის ფქვილი შეგვხდა, პური ცუდი გამოცხვა, მაგრამ თავიდანვე იქნა განკარგულება გაცემული და ასეულებში ეს პური არ დარიგებულა. ამხ. ბარელაძე იმასაც კი სწერს, რომ ხშირად გამოუმცხვარი პური გვირიგდება და წითელი არმიელები მშიერი რჩებიანო.

გადაჭრით უნდა ვაღვიაროთ, რომ ასეთ შემთხვევას ლეგიონში ადგილი არ ჰქონია, თორემ საკანტროლო კომისია იმწამსვე მიიღებდა საჭირო ზომებს. რაც შეეხება იმას, რომ ხშირად პური ცუდი ხარისხის არის, ეს ჩვენი ბრალი არაა.

როცა ცუდი ხარისხის ფქვილი შეგვხდება, გამოცხობის შემდეგ ცუდ პურს ვღებთ. ამის გაუმჯობესება ჩვენს სურვილზე არაა დამოკიდებული.

პურის საცხობში სისუფთავე დაცულია შეძლების დაგვარად. მთელი ჩვენი ყურადღება იქეთკენ არის მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი სისუფთავე იყოს ფურნეში.

პურის მცხობელი გურაბანიძე და ქოტიაშვილი.

## პარტიული ცხოვრება.

## 1-ლი ქართულ დივიზიის პარტ-ორგანიზაცია. *)

(დასასრული.)

### 5. განათლება.

| | I/VII 24 წ. | I/I 25 | განსხვავებ. |
|---|---|---|---|
| უმაღლესი | 0,6 | 0,8 | + 0,2 |
| საშუალო | 26,1 | 23,2 | --2,9 |
| დაბალი | 62,3 | 73,7 | +11,4 |
| მცირე-მცოდ. | 8,7 | 1,9 | -6,8 |
| უცოდინარნი | 2,3 | 0,4 | -1,9 |

როგორც ვხედავთ ორგანიზაციის საერთო საგანმანათლებლო ცენზი გაიზარდა. უცოდინართა და მცირე მცოდნეთა რიცხვმა ძლიერ იკლო და იმატა რიცხვმა დაბალ განათლების მქონეთა. საშუალო განათლების მქონე რიცხვი დაეცა 26 პროცენტიდან 23-მდე.

უკანასკნელად, ეროვნების განაწილება პარტორგანიზაციაში. 93,2 პროც. არიან ქართველები, 3,4 პროც. სომხები, 3.4 პროც, დანარჩენი ეროვნების.

საერთოდ უნდა აღინიშნოს რომ შესამჩნევად გაიზარდა შემოდგომის გაწვევის შემდეგ ახ. კ. კ. წევრთა რაოდენობა აგრეთვე თვით ახ. კ. კ. წევრთა შემადგენლობაში, იმატა მუშების პროცენტმა.

პარტორგანიზაციაში მუშების პროცენტის შემცირება შევსებულ უნდა იქმნეს ახ. კ. კ. წევრების—მუშების გადაყვანით პარტიაში. ეს იყო აღნიშნული დივიზიის მე-4 პარტ. კონფერენციის მიერ და ეს უნდა გახდეს ერთ ერთ მორიგ ამოცანად დივიზიის მთელ პარტორგანიზაცისათვის.

რუდოვსკი.

*) იხ. „წ. ა.“ № 50.

## არტლეგიონის კომუჯრედი.

მესამე ბატარეიის კომუჯრედის მუშაობა კარგ ნიადაგზეა დაყენებული. ღია კრებებზე მრავალი უპარტიო ამხანაგები ესწრებიან ყოველთვის.

ახკომკავშირის წევრები უნდა ჩაითვალონ იმ ენერგიულ მომუშავეებათ, რომლებიც განსაკუთრებულ სიცხოველეს აძლევენ კომუჯრედის საქმიანობას. 28 თებერვალს კომუჯრედში შესდგა ღია კრება. დაესწრენ ნაწილის უპარტიო ამხანაგების უმრავლესობა. კრებამ განიხილა დივიზიის მეოთხე პარტკონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუციები, რომლებიც მოწონებული და მიღებული იქნენ სახელმძღვანელოდ.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო აგრეთვე ერთი ამხ. მაღალაშვილის საკითხი, რომელსაც ბრალდება სიმთვრალის დროს ქალის ძალით გაუპატიურება.

კრებამ მოისმინა, რა ყოველივე ეს ერთხმად დაადგინა: ამხ. უზნეო საქციელი სასტიკად იქნას გაკიცხული. ახკომკავშირის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ასეთ ელემენტს. მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომლის ძალითაც ამხ. მაღალაშვილი გამორიცხული იქნა ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირიდან.

პარტკორი ცქიფშრიშვილი

## მეთაურთა სკოლის 1-ლი ასეულის კომუჯრედი.

27 თებერვალს შესდგა მეთაურთა გაერთიანებული სკოლის პირველი ასეულის კომუჯრედის ღია კრება, დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: გლეხკორების მუშაობა სოფლად, ასეულის ლენინის კუთხის სარევიზიო კომისიის მოხსენება, პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებების განხილვა და სხვა მიმდინარე საკითხები.

სოფლად გლეხკორების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ოკრიბელაშვილი, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას გლეხკორების უდიდესი როლი და მათი მუშაობის უსაშინელესი პირობები. მომხსენებელმა ნათლად დახატა გლეხკორების სიტყვიერად და ფიზიკურად დევნის სურათი, მემამულეებისა და სოფლის კულაკებისაგან. შემდეგ შეეხო მთავრობის ღონისძიებებსაც გლეხკორების დასაცავად და სხვა. მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, რომელიც იმედს გამოსთქვამს, რომ გლეხკორები-მიუხედავად ასეთი პირობებისა მაინც განაგრძნობენ თავის საქმეს, არ შეუშინდებიან არავითარ მუქარას და უფრო დაწვრილებით გააშუქებენ ჩვენს პრესაში პროვინციების ჭირ-ვარამს და სხვა. თავის მხრივ ასეული შეეცდება ყოველ მხრივი დახმარება გაუწიოს ამხანაგებს ამ მეტად საპასუხის მგელო მოვალეობის შესრულების დროს. მოხსენების შემდეგ დაიწყო პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებების განხილვა. შვიდი ამხ. ორი მიღებული იქნა კომპარტიის წევრებად, ხოლო ხუთი კი კანდიდატებათ.

პარტკორი ი. ნაფეტვარიძე.

## 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისიის დადგენილება ყოფილ კომპარტიის წევრის ევ. ცომაიას შესახებ. ოქმი № 3 დან.

1925 წლის 14 იანვარს შესდგა 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისიის სხდომა. დაესწრენ პარტკომისიის წევრები და კანდიდატები, რომელზედაც გარჩეულ იქნა საქმე ამხ. ევთერ კალისტრატეს-ძე ცომაიას შესახებ: პოლიტხელი 1-ლ ქ. მ. დივიზიის 1 ლ ლეგიონისა· დაბადებ· 1899 წ. განათლება საშუალო. რ. კ. პ. წევრი 1920 წლიდან. თვითონ განაცხადა პარტიიდან დათხოვნის შესახებ. პარტკომისიამ იქონია მსჯელობა მისი განცხადების შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ ის არის მერყევი, მეშჩანურ და არა კომუნისტური ელემენტი. პარტკომისიის მიერ ის გამორიცხულია პარტიიდან, როგორც მერყევი და არა·კომუნისტური ელემენტი·

1-ლ ქ. მ დ. პარტკომისია.

## ჩვენი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ცხოვრებიდან.

**პატარა შენიშვნა.**

ჩვენი სამხედრო ნაწილების, როგორც პატარა, ისე უფრო დიდი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები სისტემატიურათ ღებულობენ მოსკოვიდან სხვა და სხვა რუსულ ჟურნალებს. როგორიცაა მაგ. „პროჟექტორი“ „კრასნაია ნივა“ „კრასნოარმეეც“ და სხვა ასეთებს. გადაჭრით უნდა ითქვას. რომ ამ ჟურნალებით ვერავინ ვერ სარგებლობს ენის უცოდინარობის გამო. (მხედველობაში ვღებ ფართო მასას). მაგ. ჟურნალი „კრასნოარმეეცი“ მეტად კარგი ჟურნალია რუსულ ნაწილებისათვის, მაგრამ ჩვენი წითელ არმიელისათვის—ენის უცოდინარობის გამო სრულებით მოუხმარებელია, მეთაურს კი ან პოლიტშემადგენლობას ის არ აინტერესებს... რაც შეეხება სხვა, ზემოდასახელებულ ჟურნალებს—მათ ამავე მიზეზითვე ხელს არავინ კიდებს და მხოლოთ სურათებით დაინტერესებული და ნახევრათ მოცლილი ამხანაგი შლის... ეს ხდება იმ დროს, როდესაც თითეულ მათგანზე საგრძნობი თანხა იხარჯება ნაღდათ თუ ნისიათ და ამავე დროს თითქმის არც ერთი ქართული პერიოდული ჟურნალები („დროშას“-ს გამოკლებით, რომელიც მთელ დივიზიაზე 5 ცალი მოდის. „კრასნოარმეეცი“ კი თითეულ ნაწილებზე—რამოდენიმე) არ მოგვდის—ამ მოვლენას სიღარიბით ხსნიან, მაგრამ შესაძლებელია რუსული ჟურნალების რაოდენობას დავუკლოთ და სამაგიეროდ ქართული გამოვიწეროთ, რომლებსაც მეტად დიდი მოთხოვნილება აქვს ყოველ ნაწილში. მუდამ წრეებზე ვმსჯელობთ, ვფიქრობთ, ვმუშაობთ და ნუთუ ჟურნალის ცოცხალ სიტყვების მოსმენა დრამწრის, ლიტწრის, პოლიტწრის და სხვებისათვის საჭირო და სასარგებლო არ იქნება? დღეს ტფილისში ბრავალს, სხვა და სხვა ხასიათის ჟურნალები გამოდის მაგ.: „მნათობი“ „ხელოვნება“ „თეატრი და ცხოვრება“ „ახალი გზა“ „დროშა“ და ყველა ესენი საჭიროა ჩვენს ბიბლიოთეკებს მოსდიოდეს. უკანასკნელი, მართალია მოგვდის, მაგრამ ალბათ ყველას არა, ან და ძალიან ცოტა ისე, რომ მკითხველთა მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

დარწმუნებული ვართ, ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება და სათანადო ორგანო დაუზარებლათ გაიღებს საამისოთ ფულს.

**ანზორა.**

## ამბები სოფლებიდან

**ბარიტის ექსპლოატაცია.**

ლეჩხუმის ალმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას მოაწყესრიგოს და სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ბარიტის (მადანის) დამუშავება-გასაღების საქმე.

**გლეხკომების სიმდიდრე.**

თელავის სამაზრო გლეხკომს აქვს ამ ჟამად თავის ფონდში 3 ათასამდე ვედრო ღვინო.

**ჭაობების ამოშრობა.**

ზუგდიდის მაზრაში ჭაობიან ადგილების სივრცე შეიცავს 10 ათას დესეტ. მიწას. განზრახულია გაზაფხულიდან შეუდგენ მათ ამოშრობას.

**ხიდი მდ. ლაჯანურზე.**

ლეჩხუმის ალმასკომმა დაადგინა მდინარე ლაჯანურზე დაჩქარებით შეუდგეს ხიდის აგებას და საჩქაროთ დაათავოს იგი.

**სათეატრო შენობა ცაგერში.**

ამჟამად ცაგერში აშენებენ სათეატრო შენობას; ალმასკომის დადგენილებით გაზაფხულზე ააშენებენ აგრეთვე საკლუბო შენობასაც.

**დახმარება სკოლებს.**

თელავის სამაზრო გლეხკომები უფასოთ აწოდებდენ ადგილობრივ სკოლებს შეშას და ურიგებდენ ღარიბ მოწაფეებს სამოსწავლო ნივთებს.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა

**გორის მაზრის საბჭოთა ყრილობა.**

გუშინ გორში გაიხსნა მაზრის საბჭოთა ყრილობა.

**ოზურგეთის მაზრაში.**

**— ძიმითის თემი.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 18 წევრი. მათ შორის 6 კომუნისტია და 2 ქალი.

**შორაპანის მაზრაში.**

ქორეთის სათემო საბჭოში არჩეულია 74 დეპუტატი, 5 კომუნისტი, 5 კომკავშირელი და 5 ქალი.

**არჩევნების შედეგები.**

6 მარტამდე მთელ საქართველოში არჩევნები დასრულდა 19 სასოფლო საბჭოში და 293 სათემო საბჭოში. სულ არჩეულია 10.375 წევრი. მათ შორის 2.977 კომუნისტია. 7.398 უპარტიო და 762 ქალი.

## სამხედრო ტრიბუნალი.

5 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით ამავე ტრიბუნალის დარბაზში განიხილა ორი საქმე: ცხენოსან ლეგიონის წ. მ. ივლიანე ლუკას-ძე ქანდარიასი და იოსებ გუდუნას-ძის ალანიასი. აღნიშნულ პირებს ბრალდებათ დეზერტირობა.

სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული ქანდარია გაქცეულა ნაწილიდან 4 იანვარს, დაუყვია ნაწილის გარეშე 18 დღე და ა. წ. 22 იანვარს თავისი ნებით დაბრუნებულა ნაწილში. ბრალდებული ალანია გაქცეულა ნაწილიდან გ. წ. 30 დეკემბერს, დაუყვია ნაწილის გარეშე 11 დღე და ა. წ. 12 იანვარს თვით გამოცხადებულა ნაწილში. ორივე ბრალდებულმა ქანდარიამ და ალანიამ იცვნეს თავი დამნაშავეთ დეზერტირობაში და განაცხადეს, რომ ოჯახურმა გარემოებამ აიძულა ისინი ასეთი საქციელის ჩადენაში. სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო მათზე წაყენებული ბრალდებები და მისაჯა მათ, ქანდარიას და ალანიას, თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით თითეულს 4 თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია პირველს-5 მან, მეორეს კი 10 მანეთის ღირებულებით.

**გნია.**

## ახალი ამბები.

**— სახელმწიფო უნივერსიტეტში.** მთელ უნივერსიტეტში ამ ჟამად ირიცხება 5.778 კაცი. აქედან პედაგოგიურ ფაკულტეტზე ჩარიცხული 2.153, ეკონომიურზე 1.591, პოლიტეხნიკურზე 506, საექიმოზე 858 და სას.-სამეურნეოზე 679.

**— წითელი მეწვრილმანე.** ტფილისში უკვე დაიწყო ვაჭრობა „წითელმა მეწვრილმანემ“.

**— სკოლის გახსნა.** ამ დღეებში მუშტაიდში გაიხსნება სასოფლო სამეურნეო სკოლა.

**— აბრეშუმის გატანა.** გასული წლის განმავლობაში საქართველოდან გატანილ იქნა 25 ათასი ფუთი ხმელი პარკი.

**— აფთიაქების რიცხვი — 1-ლი მარტისათვის მთელ** საქართველოში ირიცხებოდა 306 აფთიაქი.

**— წყალთა მეურნეობის სამმართველო.** საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის ეკ. საბჭოსთან დაარსდა წყალთა მეურნეობის სამმართველო.

**— საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის.** საქ. სახკომსაბჭომ დაავალა ამხ. ჯუღელს და მთიკაშვილს გამოარკვიონ მესამე საბჭოთა ყრილობის მოსაწვევათ საჭირო ხარჯები.

**— ბინის დეკრეტის დამტკიცება.** საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1923 წ. სექტემბრის თარიღით გამოცემული დეკრეტი ზოგიერთი ცვლილებებით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**უდიდესი წყალქვეშა ხვრელი.**

უცხოეთის პრესის ცნობების თანახმად ინგლისი იწყებს ამ ჟამად უდიდესი წყალქვეშა ხვრელის გაყვანას. ეს ხვრელი გაყვანილი იქნება მდინარე მერსეს ქვეშ. ხვრელს ექნება 44 ფუტის მოცულობა და გაცილებით უფრო დიდი და სრული იქნება ამერიკაში მდინარე გუდზონის ქვეშ გაყვანილ ხვრელზე. ხვრელი გაკეთდება მთლიანად რკინა ბეტონისაგან, დუღაბისა და კირისაგან. მისი სიგრძე ედრება 2 ვერსს. ხვრელი იქნება 2 სართულიანი: ზედა სართული საბარგულების მოძრაობისათვის ხოლო ქვედა სართულში კი გაყვანილი იქნება ელექტრო ტრამვაის ორი ხაზი. ხვრელის გაკეთების დროს მდინარის ორივე მხრივ გაყვანილი იქნება ორი სატრანსპორტო (მძიმე და მსუბუქი ტრანსპორტი) ხაზები. ხვრელი განათებული იქნება ელექტრონით.

ამბობენ, რომ აღნიშნული ხვრელის დასათავებლად საჭირო იქნება-132 მილიონი მანეთი.

**ახალი შემადგენლობა-რომელიც იხმარება შუშის მაგივრად.**

შუშის მაგივრად სახმარი ეს ახალი შემადგენლობა გამოიგონეს ავტრიაში. ახალი გამოგონება ალჭურვილია შუშის თვისებებით და ამავე დროს, შუშის უარყოფითი მხარეებით არ ხასიათდება. ამ ახალ შემადგენლობას უწოდეს „პალოპასი“.

„პალოპასი“ სრულიად უფერული და გამჭვირვალეა, მშვენივრად ითლება და ძლიერ მაგარიც არის. გამოირკვა, რომ „პალოპასი“ ყლაპავს ე. წ. ულტრა იისფერ სხივებს და შუშაზე უფრო დიდხანს აჩერებს ის ამ სხივებს. ამიტომ „პალოპასს“ აუცილებლად დიდი მომავალი ექნება ოპტიურ იარაღებისათვის გამოყენებაში.

ეს ახალი შემადგენლობა ძლიერ იშვიათად ტყდება და არც ისე ადვილად ხურდება.

ამის გამო ის ფართო მოხმარებას პოულობს ტრამვაისა და ავტომობილების შუშებისათვის ქიმიურ საცდელ შუშებსა და სხვათა დამზადებისათვის.

„პალოპასზე“ ძლიერ ადვილად მოქმედებს გოგირდის სიმჟავე და ამის გამო ის ძლიერ ხელსაყრელია გამჭირვალე წარწერებისა და რეკლამების დასამზადებლად.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. წით. ვარსკვლავს.** თქვენი წერილი ისე არ დაიბეჭდება, თუ არ გვაცნობებთ სახელს და გვარს.

**ამხ. ი. ნაფეტვარიძეს.** თქვენი კორესპონდენცია მეთაურთ სამხედრო სკოლის კომუჯრედის მდგომარეობა არ გვაქვს, ამის შესახებ უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

## საბიბლიოთეკო საქმე.

**ბიბლიოთეკა და სალიტერატურო წრე.**

საერთოდ, ამა თუ იმ ნაწილში არსებულ სხვა და სხვა წრეებს—ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან მჭიდრო კავშირი აქვს და, თუ ეს უკანასკნელი თავის სიმაღლეზეა—დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლია ყველა წრეებისათვის. მაგრამ ყველაზე მეტათ მნიშვნელოვან წრეთ, კერძოთ ბიბლიოთეკის საქმიანობაში შეიძლება გახდეს ე. წ. სალიტერატურო წრე, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სალიტერატურო წრე, თითქმის ყოველ სამხედრო ნაწილში არსებობს, მაგრამ ძალიან იშვიათადაა დაკავშირებული ამავე ნაწილის ბიბლიოთეკასთან ისე, როგორც ეს სასურველი იქნებოდა როგორც სალიტ. წრის, ისე თითონ ბიბლიოთეკის ინტერესებისათვის. რით შეიძლება ბიბლიოთეკა დაეხმაროს ნაწილის წრეებს? ამაზე ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში უკვე დაიბეჭდა ამხ. ნ-ეს წერილი, რომელიც ზოგადათ ეხებოდა ყველა წრეებს და სხვათაშორის ამბობდა: ბიბლიოთეკა წრეებს ეხმარება სათანადო წიგნების მიწოდებით, გამოფენით, სარეკომენდაციო სიების შედგენითა და სხვ.!!

მაგრამ როდესაც საკითხი კონკრეტიულათ დადგება სალიტერატურო წრეზე, მაშინ ჩვენის აზრით ნაწილის ბიბლიოთეკარმა თავისი მოქმედების ფარგალი უნდა გააფართოვოს. საქმე შემდეგშია;—უმთავრესათ სალიტერატურო წრის შემადგენლობა უფრო მასსიურია ვიდრე სხვა წრეების (მაგ. პოლიტწრის, სამხწრის და სხვა). ეს იმიტომ, რომ ლიტწრის წევრისთვის არ არის საჭირო თუ გინდ ოდნავი მომზადება ამა თუ იმ გარკვეულ საკითხში სპეციალურათ, როცა მაგ. პოლიტწრეში შემსვლელს სხვა თუ არა—სურვილი მაინც აქვს პოლიტიკის შესწავლის და მასში გარკვევისა. ლიტ-წრე—ეს ასე ვთქვათ კარგი ხელმძღვანელის ხელში, ძოსამზადებელი საფეხურია, სხვა და სხვა საკითხ ბისადმი ინტერესის გასაცხოველებლათ და ძალიან ხშირათ, ამა თუ იმ სოციალური მოვლენების მდაბიურათ, გასაგებათ—გადასაცემათ. მაგალითად, დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ შესწავლა მდაბიო მკითხველს ერთგვარ ნათელ წარმოდგენას მისცემს ბატონყმურ ცხოვრებაზე მაშინ, როცა სხვა, თუ გინდ „პოპულიარული“ ნარკვევები მას არც დააინტერესებს იმდენათ და ვერც გაიგებს და შეაფასებს...

თუ კი ბიბლიოთეკარს მუშაობა უხდება შედარებით მოუმზადებელ მასასთან და ცოტა დროც ხელს უწყობს—მან აუცილებლათ თითონ უნდა მოკიდოს ხელი ლიტ წრის ხელმძღვანელობას. უნდა გააფართოვოს ეს წრე ძალიან და შიგ ჩაითრიოს რაც შეიძლება მეტი წევრები—თუ გინდ წ კითხვის ნაკლებათ მცოდნენი და თითონ წრეში, თუ კი საერთო ხელმძღვანელობა მისთვის ძნელი იქნება—გამოყოს აქტივი. მას მიანდოს სათანადო ლიტერატურა და გამოიყენოს ხმამაღლა კითხვებისათვის. ხმამაღალი კითხვები საუბრებით, თითონ წრეშივე მოეწყობა და ეს საუკეთესო გაკვეთილი იქნება.

**ზრიან.**

## განცხადება.

ა. წ. 7 მარტს დილის 10 საათზე დანიშნულია 1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისიის სხდომა, პარტკომისიის ბინაზე (ევანგულოვის ქუჩა № 2) რომელზედაც საჭიროა გამოცხადდენ ყველა წევრები და კანდიდატები, აგრეთვე ევალებათ გამოცხადდენ პოლიტ·სკოლიდან შემდეგ პირებს:

1. ბაქრაძე მიხეილ, 2. არაქელოვ ვასილ, 3. ცეცხლაძე ილია და 4. მახარაძე ადამ.

1-ლ ქ. მ. დ. პარტკომისია.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.